აგრობიზნესის კავშირი ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებთან და მათი ინტეგრაციის მნიშვნელობა მაკროეკონომიკური თვალსაზრისით

პაატა კოღუაშვილი
საქართველოს ს\მ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი
E-mail: paata_koguashvili@hotmail.com
გიორგი თეთრაძე
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

ნაშრომში ავტორების მიერ განხილულია ქვეყნის აგრარულ სექტორში აგროსამრეწველო კომპლექსის მნიშვნელობის არსი. აგრობიზნესის ინტეგრაციის როლი ქვეყნის ეკონომიკაში მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ის წარმოადგენს ხერხემალს ძირითადად რესურსებისა და სოფლისმეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელ სფეროს შორის. რაც უფრო ძლიერია სოფლის მეურნეობის წარმადობა მით უფრო ძლიერდება ზემოთ აღნიშნული სექტორები. მოცემულ ნაშრომში განხილულია ქვეყნის რესურსული და გადამამუშავებელი სექტორების პრობლემატია და მათი სოციალურეკონომიკური მნიშვნელობა მაკრო ეკონომიკაში.

სკვანძო სიტყვები: აგრარული სექტორი, სოფლის მეურნეობა, აგრო სამრეწველო კომპლექსი, ინტეგრაცია, წარმადობა.

საქართველოში სასოფლოსამეურნეო პროდუქციის წილი მ.შ.პ.ში განისაზღვრება 8%ით, ხოლო გერმანიაში 2008 წლის მონაცემებით შეადგენდა დაახლოებით 2%ს. მიუხედავად ამისა, გერმანიაში სოფლის მეურნეობაზე მოდის ყველაზე დიდი სუბსიდია და ხდება სახელმწიფოს მხრიდან ყველაზე დიდი ძალისხმევის გამოვლენა ამ სექტორის მდგრადობისა და სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

ეს ყველაფერი აიხსნება იმით, რომ სოფლის მეურნეობა კავშირშია და ერთერთი რგოლია სამრეწველო და გადამამუშავებელ საწარმოებს შორის. გლეხი მუდამ საჭიროებს ნედლეულს, დამხმარე საშუალებებს როგორიცაა: სასუქი, შხამქიმიკატები (ჰერბიციდი, ფუნგიციდი, ინსექტიციდი) და სხვა მრავალ წარმოებისთვის საჭირო ნედლეულს. ამასთანავე, გლეხის მიერ სოფლად წარმოებული პროდუქტი, მაგალითად, რძე წარმოადგენს ნედლეულს რძის გადამამუშავებელ საწარმოში. ასევე, თუ გლეხი საკუთარი მეცხოველეობის ფერმისთვის იყენებს სახნავსათეს მიწას ან სულაც თუ იგი მიწათმოქმედია, მას დასჭირდება სასოფლოსამეურნეო ტექნიკა საჭირო აგრეგატებით.

გერმანიაში სოფლის მეურნეობაზე აწყობილია მთელი რიგი რძის გადამამუშავებელი საწარმოები, აგროტექნიკის მწარმოებელი ფირმები მაგ. „ფენდტი", „დოიც ფარი", „კლაასი" „ლემკენი" და მრავალი სხვა. აგრეთვე სასუქის მწარმოებელი რიგი ინდუსტრიები მაგ. BAYWA და სხვ. რომ არა სოფლის მეურნეობა ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ე. წ. საწარმოო ჯაჭვი არ იარსებებდა, რაც ქვეყნისთვის როგორც სოციალური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით დიდი დანაკლისი იქნებოდა.

აქამდე ცნობილის იყო აგროსამრეწველო კომპლექსის 3 სფერო, კერძოდ:

1. **რესურსების სფერო**
2. **სოფლის მეურნეობის სფერო**
3. **და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი სფერო**

მოცემული სფეროები წარმოქმნიან აგროსამრეწველო კომპლექსის ერთიან ჯაჭვს, მაგრამ დღესდღეობით აგრო სამრეწველო კომპლექსში ერთიანდება კიდევ 2 სფერო. ესენია:

4. **ინფრასტრუქტურის სფერო**
5. **მარკეტინგის სფერო**

იხ. მატრიცა №1

რესურსების სფეროში მოიაზრება სოფლისმეურნეობის სფეროს მომარაგებელი სექტორი, რომელიც ამარეგებს აღნიშნულ დარგს მატერიალურტექნიკური თვალსაზრისით, ხოლო გადამამუშავებელი სფერო, ესაა დარგი, რომელიც სასოფლოსამეურნეო ნაწარმს იღებს ნედლეულის სახით და ახდენს მის გადამუშავებას. აქვე მოიაზრება ინფრასტრუქტურული სფერო (გზები, სამაცივრე მეურნეობები და სხვ.). რაც შეეხება მარკეტინგის სფეროს იგი მოიაზრება ყველგან.

მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ მაქსიმალურად შეუწყოს ხელი სოფლისმეურნეობის განვითარებას და მისცეს თავის ქვეყნის გლეხს სრული ეკონომიკური თავისუფლება, აღმოუჩინოს ყველა სათანადო დახმარება როგორც ტექნიკური, ასევე მატერიალური თვალსაზრისით, რათა ქვეყანაში წარმოებული პროდუქტი იყოს კონკურენტუნარიანი, როგორც ადგილობრივ, ასევე სართაშორისო ბაზარზე. გააუმჯობესოს გასაღების ბაზარი და დაიცვას იგი იმპორტირებული დაბალხარისხიანი საქონლისგან. სახელმწიფოს ინტერესშია, რა თქმა უნდა, ის, რომ ქვეყანაში იწარმოებოდეს სასოფლოსამეურნეო ტექნიკა, სასუქი, ჩაიდოს ინვესტიციები სასოფლოსამეურნეო პროდუქტის გადამამუშავებელი საწარმოების მშენებლობაში, რათა ქვეყანამ შეძლოს სასურსათო უსაფრთხოების მდგრადობის შენარჩუნება, და არ იყოს დამოკიდებული იმპორტზე.

გერმანიის აგრარულ მეურნეობაში და მის ირგვლივ არსებულ საწარმოებში დასაქმებულია (2005 წლის მონაცემებით) მთლიანად შრომისუნარიანი მოსახლების დაახლოებით 10% (4.0 მლნ. ადამიანი). სამუშაო ადგილები წარმოიქმნება როგორც ნედლეულის, ასევე სატყეო და ქაღალდის წარმოების სფეროებში, სადაც დასაქმებულია 4,9 მლნ ადამიანი. სტატისტიკის მონაცემით ამ სექტორში ყოველი მე8 ადამიანია დასაქმებული.

სოფლის მეურნეობის განვითარება ნებისმიერ ქვეყანაში უკავშირდება ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრას, როგორიცაა მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა და ამ გზით სასურსათო უსაფრთხოების, როგორც ეროვნულ სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების შემადგენელი კომპონენტის გამტკიცება; მრეწველობის ნედლეულით უზრუნველყოფა და ქვეყნის საგარეო ეკონომიკურ კავშირებში აქტიური ჩართვა. სოფლის მეურნეობა მრეწველობასთან ერთად დამოუკიდებელი სახელმწიფოს ეკონომიკურ ხერხემალს წარმოადგენს. ჩვენი ქვეყნისათვის ეროვნული ეკონომიკის ეს უმნიშვნელოვანესი დარგი მეტისმეტად სენსიტიური, რეცესიული და რისკებისაგან მოწყვლადი დარგია.

2009 წელს სოფლის მეურნეობაში შეიქმნა სულ 1422 ლარის დამატებული ღირებულება ერთ დასაქმებულზე, მაშინ როდესაც 1988 წელს 4.0 ათას მანეთზე მეტი. მანეთისა და ლარის პარიტეტის გათვალისწინებით გამოდის, რომ შრომის მწარმოებლურობა ამჟამად ორი ათეული წლის წინანდელ დონეს თითქმის 7ჯერ მაინც ჩამოუვარდება (14.5%). ბოლო 20 წლის მანძილზე საქართველოს სოფლის მეურნეობაში წარმოება შემცირდა (ჯერ): ხორცის 3.3ჯერ, რძის 1.3ჯერ, კვერცხის 2.0ჯერ, მატყლის 3.6ჯერ. ეს სოფლად დასაქმებულთა საერთო რიცხოვნობის ზრდისა და დაქირავებით დასაქმებულების 4.4ჯერ შემცირების პირობებში. ეს ადვილად ახსნადია, თუკი გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ 1988 წელს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობა არ გამოირჩეოდა მოწინავე პოზიციებით და, რბილად რომ ვთქვათ, სულაც არ წარმოადგენდა სამეცნიეროტექნიკური პროგრესისა და ტექნოლოგიური ნოვაციების პოლიგონს, მიუხედავად ამისა, გააჩნდა დაახლოებით ნახევარი მილიარდი მანეთის მანქანაიარაღები და სატრანსპორტო საშუალებები, მათ შორის 27231 ტრაქტორი, 1691 კომბაინი, 28.5 ათასი სატვირთო ავტომობილი. ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულება კი ოთხ მილიარდ მანეთს აღემატებოდა. 1990 წელს ყოველ 100 ჰა ნათეს ფართობზე 526 კვტ.სთ ენერგეტიკული სიმძლავრეები მოდიოდა (მთლიანად სოფლის მეურნეობაში 3.2 მლნ. კვტ.სთის ენერგეტიკული სიმძლავრეები მოდიოდა).

საქართველოს სოფლის მეურნეობაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობა წარმოადგენს რიგი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების მოქმედების შედეგს. კერძოდ:

- არ არსებობს ამ დარგის განვითარების სახელმწიფო სტრატეგია;
- ფერმერულ მეურნეობებში არ არსებობს შიდა დაგროვების წყაროები და, შესაბამისად, არ ხდება წარმოებაში სახსრების ინვესტირება;
- ფერმერულ მეურნეობებს არ გაეწევათ ვეტერინალური, აგრონომიული, საკონსულტაციო მომსახურება;
- ფერმერებს არ შეუძლიათ კრედიტებით სარგებლობა და თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობის შეძენა, რის გამოც, სოფლის მეურნეობის მატერიალურტექნიკური ბაზა თითქმის არ განიცდის განახლებას;
- სოფლის მეურნეობაში არ ხდება ქონების, კომერციული რისკებისა და სხვათა დაზღვევა.

მიგვაჩნია, რომ აუცილებელია სიღრმისეული და კომპლექსური ღონისძიებების გატარება საქართველოს სოფლის მეურნეობის კრიზისიდან გამოსაყვანად. კერძოდ, უნდა შეიქმნას სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სტრატეგია და მისგან გამომდინარე:

- ❖ ბიუჯეტიდან სოფლის მეურნეობის დაფინანსება უნდა გაიზარდოს მინიმუმ 4,5%მდე ანუ ოთხჯერ და მეტად;

❖ სახელმწიფოს მონაწილეობით უნდა შეიქმნას სასოფლოსამეურნეო წარმოებაში კომერციული რისკების დაზღვევის გამართული და ეფექტიანად ფუნქციონირებადი სადაზღვევო სისტემა. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ფერმერებისათვის დაბალპროცენტიანი და გრძელვადიანი კრედიტების ხელმისაწვდომობაზე;

❖ უნდა შეიქმნას სოფლად საინჟინრო და აგროსერვისული მომსახურების თანამედროვე სისტემა; შემუშავდეს და ამოქმედდეს საშუამავლო სტრუქტურების ფუნქციონირების მექანიზმი;

❖ უნდა ჩამოყალიბდეს საკონტრაქტო ურთიერთობის სისტემა, სადაც განმსაზღვრელი როლი მიენიჭება სასურსათო პროდუქტებზე სახელმწიფო დაკვეთებს და განხორციელდება ფერმერთა პროდუქციის გარანტირებული შესყიდვა;

❖ უნდა დამუშავდეს სოფლად საბითუმო ვაჭრობის განვითრებისა და საშუამავლო სტრუქტურების შექმნის პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს მტკიცე კავშირს სოფლის საქონელმწარმოებლებსა და პროდუქციის რეალიზატორებს შორის;

❖ უნდა შემუშავდეს და დაინერგოს საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შემოტანილი იმ სასურსათო საქონლისაგან საქართველოს ეროვნული ბაზრის დაცვის მექანიზმი, რომელ საქონელსაც ადგილობრივი მეწარმეები ქმნიან;

❖ მთავრობამ ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი ფერმერული ორგანიზაციების, კოოპერატივებისა და ასოციაციების შემქნას;

❖ აუცილებელია, ადგილობრივი ხელისუფლების მაქსიმალური ჩართვა სასოფლო სამეურნეო წარმოების პრობლემების გადაწყვეტაში.

დასკვნის მაგიერ.

სწორი და მეცნიერულად დასაბუთებული სტრატეგიის საფუძველზე შესაძლებელია საქართველოს სოფლისმეურნეობის აღმავლობა, რაც შემდგომში გააძლიერებს ქართული სახელმწიფოს საფუძვლებს და ხელს შეუწყობს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას. უმთავრესია სახელმწიფოს ზომიერი და კეთილგონივრული ჩარევა ქვეყანაში სოფლისმეურნეობის საბაზისო პროდუქციის წარმოებისა, რათა არ იყოს დამოკიდებულება იმპორტზე, რაც შემდგომში მოიცავს დაბეგვრას, ტრანსპორტირებას (მოცდენის დრო). ინფრასტრუქტურული დარგი უმთავრესია (გზები, სამაცივრე მეურნეობები, განათება და სხვ.) რეგიონებს შორის კომუნიკაციის თვალსაზრისით. აგრეთვე მნიშვნელოვანია გადამამუშავებელი სფეროს წახალისება, ხოლო რაც შეეხება სოფლისმეურნეობის სფეროს მოცემულ სფეროში საჭიროა ერთგვარი კონცეფციის შემუშავება და წვრილი ფერმერული მეურნეობების კოოპერაციებამდე გარდაქმნა. სოფლისმეურნეობის სფეროს კეთილდღეობა, პირდაპირ დადებითად აისახება დანარჩენ სფეროების სტაბილურობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **Koghuashvili P., Zibzibadze G., Economy of Farming;** Publishment of Tbilisi university; Tbilisi 2010
2. **Koghuashvili P., Zibzibadze G., Economy of Agrarian Enterprise**
3. **Koguashvili P., The village left to the mercy of the commercial banks cannot solve the agricultural problems.** (1.04.2013) http://topnews.mediamall.ge/?id=18010
4. **Koguashvili P., Observation of food safety practices is the first responsibility of the Government.** Social economy – of the 21st century. №5, 2013.
5. **Koguashvili P., Georgian village capacity.** Journal "Economics and Business". №3, 2014. pp. 4346.
6. **Tetradze G., Masterwork** "Financing of Agrarian Sector of Georgia".

RELATED SPHERES OF AGRIBUSINESS IN ECONOMY AND THEIR IMPORTANCE OF INTEGRATION IN MACRO ECONOMY

PAATA KOGUASHVILI,
E-mail: paata_koguashvili@hotmail.com
GIORGI TETRADZE

Summary

The authors have discussed the importance of agro industrial system in agrarian sector. The role of integration of agribusiness is very important, while it's an axis mainly in the middle of resources and refinery sectors in agribusiness. As much is the productivity of farming, as profitable become the above mentioned sectors. In this work is discussed the problematic of resources and refinery sectors and their social-economic importance in macro economy.

Key words: agrarian sector, farming, agro industrial system, integration, productivity.